უნაყოფობის გავლენა ქალების ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და დაძლევის სტრატეგიებზე

ქეთევან ბოლქვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2023

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ბოლქვაძე

17.06.2023

აბსტრაქტი

კვლევის საკითხია უნაყოფობის გავლენა ქალების ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და დაძლევის სტრატეგიებზე.

კვლევა მიზნად ისახავს უნაყოფო პაციენტების გამოცდილების შესწავლას, თუ რა გავლენას ახდენს დიაგნოზი და მკურნალობა მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ნაშრომში მოცემულია კვლევა იმის შესახებ, თუ დაძლევის რა გზებს იყენებენ უნაყოფო პაციენტები დიაგნოზის გაგების შედეგად გაჩენილ სირთულეებთან გასამკლავებლად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევის ჩატარება მნიშვნელოვანი იყო, რადგან ვფიქრობ, რომ ეს დაეხმარება არა მხოლოდ პაციენტებს, არამედ, ზოგადად, საზოგადოებას იმის გაცნობიერებაში, რომ უნაყოფობის პრობლემასთან ბრძოლისას ფიზიკურ მკურნალობასთან ერთად მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და, რიგ შემთხვევებში, ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინტერვენციებიც.

ქვემოთ წარმოდგენილი კვლევა თვისობრივია, კვლევისას გამოყენებულ იქნა ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ და კითხვარი. კვლევის მონაცემების შეგროვებისას აუდიო აპლიკაციით ჩაიწერა ინტერვიუ და მოგვიანებით დამუშავდა თემატური ანალიზის გამოყენებით. მონაცემების დამუშავებამ აჩვენა, რომ უნაყოფობის დიაგნოზი უარყოფითად აისახება ქალების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, ვინაიდან ის იწვევს ისეთ ემოციურ გამოვლინებებს, როგორიცაა: გუნება-განწყობის დაქვეითება, ძილის პრობლემები, გაღიზიანებადობა და დაღლილობა, კონცენტრაციის დაკარგვა და თვითშეფასების დაქვეითება, თავის დადანაშაულება, უღირსობის განცდა, შფოთვის სიმპტომები, ყოველდღიური ფუნქციონირების დაქვეითება და იმედგაცრუება. ყოველდღიურად მსგავს ემოციებთან გამკლავება საჭიროებს დაცვის სხვადასხვა მექანიზმს. რესპოდენტების ინტერვიუებში კი გამოიყო რამდენიმე მთავარი თემა, რომლებიც გამკლავების სტრატეგიად შეიძლება მივიჩნიოთ: ყურადღების გადატანა, სოციალური მხარდაჭერა, იზოლაცია, ემოციებზე მუშაობა.

საძიებო სიტყვები: უნაყოფობა, ფსიქოლოგიური მდგომარეობა, დაძლევის სტრატეგია, გავლენა.

Abstract:

The following research shows how infertility can impact women's psychological state and coping strategies.

The paper presents a study of the coping strategies used by infertile women to cope with difficulties in understanding the diagnosis. It was important to conduct research on this issue because I think it will help not only patients, but also society in general to realize that psychological support and, in some cases, mental health interventions are important along with physical treatment when dealing with infertility.

The research presented below is qualitative. A semi-structured interview and questionnaire was used in the research. During data collection for the study, interviews were recorded using an audio application and later processed using thematic analysis. Data processing showed that the diagnosis of infertility has a negative impact on the psychological state of women, as it causes such emotional manifestations as: low mood, sleep problems, irritability and fatigue, loss of concentration and low self-esteem, self-blame, feelings of worthlessness, anxiety symptoms, daily Impaired functioning and frustration.

Dealing with such emotions on a daily basis requires different defense mechanisms. In the interviews of the respondents, several main themes were identified, which can be considered as coping strategies: distraction, social support, isolation and working on emotions.

Key words: infertility, psychological state, coping mechanisms, influence.